

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტი 041359
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის საქმიანობა წარმოადგენს სამთო დარგის მნიშვნელოვან ქვესისტემას. აღნიშნული სპეციალობა პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიაა და მოიცავს:

- _ სამთო საწარმოებში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებას;
- _ პროფესიულ საქმიანობაში ხარვეზების გამოვლენასა და მათ აღმოფხვრას;
- _ დაშავებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენას.

II. დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტი სამთო დარგის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც მუშაობს ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. იგი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სამთო საწარმოში, შახტაში, მალაროში ან მეტროში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის

გამოცდილება.

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V) და თითოეულ საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 60%. ენიჭება სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მესამე საფეხურის (თანაშემწის) კვალიფიკაცია.

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. ენიჭება სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. ენიჭება სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>პროფესიული განათლების ამ საფეხურზე უსაფრთხოების სპეციალისტს შესწავლილი აქვს სამუშაო პროცესის დამაბულობა და სიმძიმე; სამრეწველო მტვერი, შხამები, მომწამლავი ნივთიერებები – თვისებები, ჰიგიენური შეფასება; საწარმოო გამოსხივებასთან უსაფრთხო მუშაობის საფუძვლები; ელექტროტრავმების წარმოქმნის პირობები. სპეციალისტს შესწევს უნარი გარკვეულ საწარმოო უბანზე უხელმძღვანელოს კონკრეტულ მარტივ სამუშაოებს, მას გააჩნია ცოდნა მტვრით, სამრეწველო შხამებით, მომწამლავი ნივთიერებებით, აკუსტიკური რხევებით, ატმოსფერული წნევით, სამრეწველო გამოსხივებებით გამოწვეული პროფესიული დაავადებების, მათი მიმდინარეობის, პროფილაქტიკური და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.</p>
------------------------------	--	--

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>სპეციალისტს შეუძლია გაზომოს ხმაურის და ვიბრაციის დონეები, შეამოწმოს დენგამტარი სადენების იზოლაცია, გაზომოს ჩამამიწებლის წინალობა, ასევე სამუშაო ზონაში მტვრის, მავნე ნივთიერებების რაოდენობა და შეადაროს მათ ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებს, სათავსებში გაზომოს და გამოთვალოს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება, სიკაშკაშე, სინათლის ნაკადი. სამუშაო ზონაში გაზომოს ტემპერატურა, სხვადასხვა მეთოდით გამოთვალოს ტენიანობა და სხვა მიკროკლიმატური პარამეტრები.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტს მიღებული ცოდნით შეუძლია წარმოქმნილი პრობლემების შეფასება და სწორი დასკვნების გამოტანა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტს შეუძლია წერილობით და ზეპირი ფორმით წარმართოს ურთიერთობები, გამოიყენოს პროფესიული ცოდნა ერთ-ერთი უცხოური ენის გამოყენებით.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>სპეციალისტს მესამე საფეხურის განათლების ფარგლებში შეუძლია შეისწავლოს პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინები. შეუძლია სათანადო დოკუმენტაციის კლასიფიცირება სამუშაოთა სახეობების მიხედვით. უნარი შესწევს დამოუკიდებლად შეარჩიოს საინტერესო ინფორმაცია, მოახდინოს მათი კლასიფიცირება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>პრაქტიკულ სამუშაოებში და ავარიულ სიტუაციებში უსაფრთხოების სპეციალისტს შესწევს უნარი იმოქმედოს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. ესმის ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობა ჯგუფური მუშაობის პირობებში. იცავს ეთიკურ და ჰიგიენურ ნორმებს და გრძნობს პასუხისმგებლობას. იცავს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით ნორმებს.</p>

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურის სპეციალისტი ფლობს საწარმოო სათავსების კომფორტული პირობებით (მიკროკლიმატი, განათება, ვენტილაცია, კონდიციონერება) უზრუნველსაყოფად საჭირო ცოდნას, მას შესწავლილი აქვს ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის რადიაციის წყაროები, გამოსხივების დოზიმეტრიის ძირითადი ცნებები და ტერმინები, საწარმოო ობიექტების უსაფრთხო მართვის საფუძვლები, სხეულის დაცვის საშუალებები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>სპეციალისტს შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში – საჭირო გარემოში განსაზღვროს მტერის რაოდენობრივი შემცველობა და შეაფასოს გარემოს ჰიგიენური პირობები, შეუძლია სათავსებში აპარატურა-დანადგარების ხმაურმშთანთქმელი გარსაცმების ეფექტურობის განსაზღვრა, დარტყმითი ხმაურის დონის განსაზღვრა, შეუძლია დოზიმეტრული ხელსაწყოთა გამოყენებით განსაზღვროს გამოსხივების დოზა, სამუშაო ადგილების განათების კონტროლი და ა.შ.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>სპეციალისტს შეუძლია ნებისმიერი სპეციფიკური პრობლემის, ამოცანების გადაწყვეტა, შესრულებული სამუშაოების ანალიზი და შეფასება, სწორი დასკვნების გამოტანა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტს შესწევს უნარი ერთ-ერთ უცხოურ ენაზე, დამოუკიდებლად წარმოადგინოს საწარმოო პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხედვა, მოსაზრებები, დასახოს ახალი გეგმა, დაამუშაოს ინფორმაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტს შესწევს უნარი შეისწავლოს, გაიღრმავოს ცოდნა შრომის კანონმდებლობის, უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში, მოიძიოს ინფორმაცია უახლესი ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების შესახებ.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>სპეციალისტი იღებს პასუხისმგებლობას საწარმოო პროცესების უსაფრთხოდ წარსამართად და მოქმედებს ცვალებადი სიტუაციების გათვალისწინებით. იძენს დამატებით ცოდნას პროფესიული ბიზნესის სფეროში. ითავისებს თავისებურებებს და ნერგავს სიახლეებს უსაფრთხოების უახლესი ნორმების გათვალისწინებით.</p>

სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტი სრულად ფლობს საწარმოო პროცესების უსაფრთხო მართვის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს, ითვალისწინებს უსაფრთხოების და შრომის კანონმდებლობის დებულებებს, ნორმატიულ აქტებს. ობიექტების გენერალური გეგმის, საამქროების, ენერგეტიკული მეურნეობის, სანიტარულ-დამცავი ზონების, ტერიტორიის მოწყობის, საწარმოო და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობების განლაგებისა და მოთხოვნების შესახებ.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>მიღებული თეორიული და შემეცნებითი უნარების გამოყენებით შეუძლია წარმართოს ფართო მასშტაბის პრაქტიკული საქმიანობა; კონკრეტულ ობიექტზე ან უბანზე სამუშაო ადგილების უსაფრთხო პირობებით უზრუნველყოფა, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა – აპარატურის უსაფრთხო მოხმარება, სატრანსპორტო-ამწე მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაცია, გაზის მეურნეობაში გამოყენებული მოწყობილობების უსაფრთხო მოხმარება, სახანძრო და ფეთქებადუსაფრთხოების წესების, ნორმების, ინსტრუქციების დაცვა და მუდმივი კონტროლი.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტს შეუძლია განსაზღვროს საწარმოო პროცესში წარმოქმნილი საფრთხეები; პრობლემების გადასაჭრელად მონაცემების, პარამეტრების იდენტიფიცირება, ანალიზი; დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	სპეციალისტს შეუძლია ერთ-ერთ უცხოურ ენაზე შეადგინოს გარკვეული დოკუმენტაცია, სპეციალისტებს და არასპეციალისტებს მოახსენოს ან წარუდგინოს ანგარიში შესრულებულ სამუშაოზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	სპეციალისტს შეუძლია შემდგომი განათლების მიღების მიმართულებების განსაზღვრა, ახალი ტექნოლოგიური უსაფრთხოებების, პროფესიული ამოცანების, კონცეფციების ათვისება, მართვის უახლესი ფორმები.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	უსაფრთხოების სპეციალისტი აფასებს პროფესიულ მიდგომებს და დამოკიდებულებას საქმიანობისადმი და უზიარებს მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას სხვებს. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. ფლობს ადამიანური რესურსების მართვის ღირებულებებს. ითავისებს პროფესიის ინტელექტუალურ ღირებულებებს .იცავს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით ნორმებს.